საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №495
2020 წლის 16 იანვარი

ქ. თბილისი

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2020 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2^2 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2020 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის.
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ უზრუნველყონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება იმ დასახლებებში (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებებში), სადაც სანოტარო მომსახურება 2020 წელს სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, ამ ბრძანებით დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებული ოდენობის ნოტარიუსთა დასანიშნად.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**

დანართი

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2020 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

№	დასახლება	2020 წელს დასანიშნ ნოტარიუსთა რაოდენობა	შენიშვნა
1	შუახევი	1	მაღალმთიანი დასახლება
2	გონიო	1	
3	ქობულეთი	1	
4	ურეკი	1	
5	ცაგერი	1	მაღალმთიანი დასახლება
6	ვანი	1	
7	ბაღდათი	1	
8	თერჯოლა	1	
9	ადიგენი	1	მაღალმთიანი დასახლება
10	ასპინძა	1	მაღალმთიანი დასახლება
11	ახალქალაქი	1	მაღალმთიანი დასახლება

12	წალკა	1	მაღალმთიანი დასახლება
13	რუსთავი	2	
14	საგარეჯო	1	
15	არაშენდა/კაჭრეთი	1	მაღალმთიანი დასახლება (არაშენდა)
16	გურჯაანი	1	
17	სიღნაღი	1	